მატჩი პეკინში

ბირმიდან სამშობლოში გზად მიმავალმა თბილისის “დინამომ” პეკინში ჩაატარა ამხანაგური მატჩი ჩინეთის მეორე ნაკრებთან, რომელიც ადგილობრივი ახალგაზრდული და სახალხო განმათავისუფლებელი არმიის ფეხბურთელებისაგან შედგებოდა.

პირველი ტაიმი დამთავრდა ფრედ – 0:0. თამაშის მეორე ნახევარში თბილისელებმა ვერ გამოიყენეს 11–მეტრიანი საჯარიმო. შემდეგ გაითამაშეს სწრაფი კომბინაცია და ბ. ხასაიამ მძლავრი დარტყმით გაიტანა ერთადერთი გოლი.

1:0 თბილისის “დინამოს” სასარგებლოდ. ასე დამთავრდა ჩვენი ფეხბურთელების მიმდინარე წლის მესამე საერთაშორისო მატჩი.

21 მარტი, 1957 წ.